განკარგულება:**გ-87. 87240666**
თარიღი:**06/03/2024**

განკარგულება №13

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ახმეტაში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 1200.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.04.41.264) საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცებისა და პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ახმეტაში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 1200.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ - 50.04.41.264).

2. განისაზღვროს განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული მიწის ნაკვეთის:

ა) საწყისი საპრივატიზებო საფასური - 44400 (ორმოცდაოთხიათას ოთხასი) ლარის

ოდენობით;

ბ) „ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა - საწყისი

საპრივატიზებო საფასურის 30%-ით - 13320 (ცამეტიათას სამასოცი) ლარის

ოდენობით;

გ) ელექტრონული აუქციონის ბიჯის ოდენობა - საწყისი საპრივატიზებო

საფასურის 10%-ით - 4440 (ოთხიათას ოთხას ორმოცი) ლარის ოდენობით;

დ) საპრივატიზებო პირობა: ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა პრივატიზებიდან ორი წლის განმავლობაში უნდა განახორციელოს არანაკლებ 50000.00 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია.

3. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს

საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი